



დალუნდარიძე - დახუნდარიძე

გვარის წარმოშობა და გერბი

გვარი – დალუნდარიძე (დახუნდარიძე) მოიხსენიება მე-16 საუკუნეში მეფე გიორგის დროს და შედის საქართველოს უძველესი ქართული გვარების პირველ 5 პროცენტში.

დალუნდარიძეების გვარი უკავშირდება სოფელ „მეტეხარას“, (ახლანდელი ამბროლაურის რაიონი) თუმცა, შემდგომი ისტორია, თუ როგორ მოხვდნენ იმერეთის სოფელ გურნაში ჯერ კიდევ გამოსაკვლევიან.

დალუნდარიძეების გვარის მფარველად წმინდა გიორგი გვესახება, ასევე არსებობს საგვარეულო გერბი, რომელიც დატვირთულია სხავასხვა სიმბოლიკით და თვითეულ მათგანს თავისი ახსნა გააჩნია - გასაკვირი არაა, რომ შუა გულში სწორედ დალუნდარიძეების გვარის მფარველი - წმინდა გიორგია გამოსახული, მრგვალი ფარის ზედა ნახევარკალში დატანილია „დალუნდარიძე“, ხოლო ქვედა ნაწილში - „დახუნდარიძე“. ძირითადი ფარის ზედა აღმოსავლეთის მხარეს და ქვედა დასავლეთის ნაწილში წარმოდგენილია იმერეთის და კახეთის სამეფო გერბები, ძირითადი ტერიტორიული განსახლების მანიშნებლად. ცისფერ ფონზე გამოსახული ირემი თავზე დადგმული ჯვრით მშვიდობისა და ჰარმონიულობის სიმბოლოა, მეწამულ ფონზე გამოსახული რაში - სიბრძნის, ოქროსფერ ფონზე გამოსახული ბაგის ნაყოფიანი ტოტი ოთხი ფოთლით - გვარის პირველ ოთხი წარმომადგენლის, ხოლო ძირითადი ფარის ქვედა აღმოსავლეთ ნაწილში ოთხი ერთმანეთზე დაკავშირებული ისარი წარმოადგენს მეომრული მზადყოფნის გამოხატულებას.

გერბის თავზე გამოსახული ბორჯღალი, რომელიც ორი მხრიდან მორთულია ვაზის მტევნებით სიმბოლოა ნაყოფიერებისა და სიუხვის, ასევე სამყაროს მამოძრავებელი ძალისა.

გერბის ლენტზე დატანილი დევიზი - „ გულით დაგვაქვს სიყვარული“ სამყაროს შემოქმედთანაა გაიგივებული, რომლის გულით ტარება ადამიანს ახსენებს მთავარ ღირსეულ ფასეულობებს.

გვარი პირველად დაილოცა 2009 წელს გელათის მონასტერში მეუფე კალისტრატეს მიერ.

2012 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიერ, ბევრ სხვა ქართულ გვართან ერთად დაილოცა დალუნდარიძეების გვარიც.

2018 წლის სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში დალუნდარიძე-დახუნდარიძეების 323-ზე მეტი მაცხოვრებელია.

გვარის მოკვლევა მოგვაწოდა მკვლევარმა, პროფესორმა, სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, ბატონმა ანზორ სიჭინავამ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. კაკაბაძე - „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები
2. ო. სოსელია - ნარკვევები ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიიდან
3. საქართველოს პოლიტიკურ - სოციალური ისტორია

